რეფორმის პირველი ნაყოფი...

ლესელიძე, 31 იანვარი (ჩვენი სპეც. კორ). შავი ზღვის სანაპიროზე მყოფი უმაღლესი ლიგის გუნდები შეუდგნენ ამხანაგური საწვრთნელი მატჩების ჩატარებას. საფეხბურთო მინდვრებზე მიმდინარეობს საინტერესო ბრძოლები მეტოქენი ერთმანეთთან შეხვედრებში ცდიან ძალებს.

ყველაზე საინტერესო ამ მატჩებიდან, რა თქმა უნდა შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორების –კიევისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრა იყო.

მეტოქენი ასეთი შემადგენლობებით გამოვიდნენ მინდორზე. კიევი–რუდაკოვი, დამინი, რეშკო, ფომენკო, დოცენკო, ტროშკინი, მუხტიანი, ბლოხინი: თბილისი – გოგია, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფვიანი. არბიტრობდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მატჩის დასაწყისი თბილისელთა დიდ უპირატესობით აღინიშნა. მათი სწრაფვი, ხშირი იერიშები ყიფვიანის ზუსტი დარტყმით დამთავრდა 1:0 ცოტა ხნის შემდეგ გუცაევი გარღვევაზე გავიდა მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ კიეველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე მოცელეს იგი და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც პეტრიაშვილმა ზუსტად დაარტყა 2:0.

2:0 მატჩის დასაწყისში საჭირო იყო ასეთი დებიუტის განმტკიცება და შემდგომ წარმატებაზე ფიქრი, მაგრამ თბილისელებმა ეს ვერ შეძლეს და ინიციატივას თანდათან კიეველები დაეუფლნენ. მალე ბლოხინმა გაქვითა ერთი გოლი, მერე კი კოლოტოვმა მეორეც 2:2.

შესვენების შემდეგ გუცაევმა კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ თბილისელებმა ვერც ამჯერად შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება :75–ე წუთზე მუნტიანმა კვლავ გაათანაბრა ანგარიში – 3:3.

როგორც ახალი ჩემპიონატის დებულებითაა გათვალისწინებული, ძირითადი დროის დამთავრების შემდეგ დაინიშნა პენალტების სერია – 5–5 დარტყმა. კიეველებმა ხუთივე 11 მეტრიანი ზუსტად გამოიყენეს, თბილისელებმა კი 3 ყიფვიანის, ხურცილავასა

და მაჩაიძის დარტყმები გოლებით დამთავრდა, პეტრიაშვილის დარტყმა აიღო რუდაკოვმა, გუცაევმა კი ძელს მოახვედრა ბურთი.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 8:6 კიეველთა სასარგებლოდ.

დუბლიორთა შეხვედრაც კიეველებმა მოიგეს – 4:1. თბილისელთაგან გოლი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა კუტივაძემ.

ც. ფცქიალაძე

ლელო 3.02.1973 წ.